იხსენებენ ყაზახეთსა და ყაზახ ხალხს, რომელთაც დიდი თანაგრძნობა და დახმარება გაუწიეს იმ ტრაგიკულ წლებში.

მე მახსოვს ეს ტრაგიკული დღეები. იმდენად მძიმე იყო ეს, რომ ქართველები, ქართული ოჯახები სთავაზობდნენ ჩეჩნებს, ქისტებს — ჩვენ ვიშვილებთ თქვენს შვილებს, რომ გადავარჩინოთ გადასახლებისგანო. და არა მარტო ჩეჩნები და ქისტები, ქართველებიც მრავლად გადაასახლეს იმ დროს. ალბათ, გახსოვთ ბაბო დადიანი, ის გვიამბობდა, რომ იმდენად პატარა ოთახში ცხოვრობდნენ, საწოლი მაგიდის ქვეშ ჰქონდათ.

და აი, ეს ხალხი, როცა შუა აზიაში, ყაზახეთში ჩაიყვანეს, შუა მინდორში ჩამოყარეს და დატოვეს. მათ თავად გამოთხარეს იქ პატარა მიწურები და ბავშვები შეიყვანეს.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ეს ადამიანები! ამ დღეებში მივიღე წერილი მეგობრის შვილიშვილისგან, რომელიც ასევე გასახლებული იყო. ახლა იგი ყაზახეთიდან დაბრუნდა და ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობს.

ღმერთი იყოს მათი მფარველი და ღმერთმა ნათელში ამყოფოს ის მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც საქართველოდან გაასახლეს!

დღეს ჩვენ ვლოცავთ შემდეგ გვარებს: მდივნიშვილებს, მიქაიებს, კუჭაშვილებს, ესიტაშვილებს, ყურუებს, თორდინავებს, ასევე ილოცება სკოლა „გერგეტი", რომლის დირექტორებიც არიან ლია კობაიძე და ლინა ხარაზიშვილი.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ! ღმერთმა ინებოს, რომ თქვენი გვარებიდან გამოვიდნენ თვალსაჩინო, სახელოვანი მამულიშვილები, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!

შეგახსენებთ, რომ 14 იანვარს სადღესასწაულო ლოცვა დაიწყება 6 საათზე, ხოლო წირვა — 10 საათზე, მომდევნო კვირებში კი წირვა-ლოცვები ჩვეულებრივ აღესრულება: ლოცვა — 5 საათზე, წირვა — დილის 9 საათზე.

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**ქადაგებები მოამზადა**
**მარიამ გაგუამ**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

**ალილო თბილისში**

შობის დღესასწაულზე, დღის 2 საათზე, ალილოს მსვლელობა თბილისის ქუჩებში ვარდების მოედნიდან დაიწყო. მეალილოეები ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრისკენ გაემართნენ; გზად მათ მრევლი შემოემატა. მეალილოეებმა შემოწირულობებით ურმები დატვირთეს. ულამაზესმა თეატრალიზირებულმა მსვლელობამ განსაკუთრებით ბავშვები გაახარა. აქ იყვნენ მწყემსებისა და მოგვების კოსტუმებში და მეალილოეთა სტიქრებში გამოწყობილი ახალგაზრდები და ბავშვები.

შობის მახარობელ მეალილოეთა მიერ დაგროვილი შემოწირულობანი საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში მიიტანეს, სადაც იგი დახარისხდა და გასანაწილებლად გამზადდა. მსვლელობაზე შეგროვილი ნობათი უკვე გადაიგზავნა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში, ხოლო 8 იანვარს, დილიდან, ტკბილეულით, სხვა საკვები პროდუქტებითა და ტანსაცმლით დატვირთული მანქანები მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და საპატიმროებში გაემართა. ალილოზე დაგროვილი შემოწირულობის დიდი ნაწილი თბილისში, ნაწილიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განაწილდა.

**ასამდე ქართული ეკლესია-მონასტერი „GOOGLE MAP"-ზე დაიტანეს**

მსოფლიო საძიებო სისტემაში "• •••■• • ••"-ზე განთავსდა ასამდე ქართული ეკლესია-მონასტერი, მათ შორის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ანანურისა და ყინწვისის მონასტრები, რომელთაც თან ერთვის საქართველოს ღირსშესანიშნაობების ფოტოები, მოკლე ისტორიული ანოტაციები და ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები.

რუკის ინსტრუმენტებით შესაძლებელია სივრცითი ანალიზი, ობიექტებს შორის მანძილის განსაზღვრა, კონკრეტული ადგილის მიახლოება.

"• •••■•• ••"-ზე ეტაპობრივად განთავსდება ასევე სხვა ღირსშესანიშნაობებიც და დაიხვეწება და გამრავალფეროვნდება საიტზე არსებული ინფორმაცია.

**ხელდასხმა**

5 იანვარს საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში (პანთეონი) გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ძალაანთხევის წმინდა ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტრის **ბერდიაკონ რაფიელს (ბერიტაშვილი),** ხოლო დიაკვნად აკურთხა წეროვნის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი სერაფიმე (წულაია).**

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვაკის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დავითი (კოლუაშვილი) და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტო როგორც შვილს, არამედ როგორც ხატებას ღვთისა! შენ წინაშე უნდა ხედავდე პიროვნებას, რომელიც ამქვეყანას ღვთის განგებით მოევლინა, რომ მრავალი წლის შემდეგ წავა და კვლავ აღარასდროს დაბრუნდება დედამიწაზე.

ამიტომ უკიდურესად ლმობიერი და მოსიყვარულე, სითბოთი და სიკეთით აღსავსე ურთიერთობა უნდა იყოს ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. შვილები უნდა ეცადონ, ყოველდღე გაახარონ თავიანთი მშობლები, ხოლო მშობლებმა ყოველდღე უნდა დალოცონ თავიანთი შვილები. არაერთხელ მითქვამს, ბედნიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდის, როცა ადამიანი პატივს სცემს თავის მშობლებს. მცნება გვასწავლის: „პატივი ეც მამასა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა". ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენ ზედა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

დღეს ვლოცავთ ექვს გვარს, ესენია: შაუთიძეები, სანებლიძეები, გეგეშიძეები, პაპავები, ხომასურიძეები, ჭელიძეები. ღმერთმა დაგლოცოთ! ღმერთმა გაგამრავლოთ! ღმერთმა დალოცოს თქვენი შვილები! და ღმერთმა ინებოს, რომ მრავალი დიდი ადამიანი გამოვიდეს თქვენი გვარებიდან, სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ!



დღეს არის საპატრიარქოს რადიოს 12 წლისთავი. ვულოცავთ ჩვენი რადიოს თანამშრომლებს ამ თარიღს და ვუსურვებთ, რომ კიდევ უფრო უკეთესი გახდეს მათი გადაცემები. ხშირად მესმის, რომ ხალხს მოსწონს ჩვენი რადიოგადაცემები და ეს მახარებს.

დალოცვილი და გახარებული იყავით!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

*მოამზადა მარიამ გაგუამ*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 13 იანვარი, 2012 წელი

როგორც ცნობილია, აფხაზურ საიტზე apsnwpress.info გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 9 იანვარს მისმა ყოვლადუწმინდესობამ, მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა თავის რეზიდენციაში მიიღო ე. წ. „აფხაზეთის წმინდა **მიტროპოლიის** საბჭო", რომლის შემადგენლობაშიც შედიან: არქიმანდრიტი დოროთე (დბარი), მღვდელ-მონოზონი ანდრია (ამფარი), ბერ-დიაკონი დავითი (სარსანია), თემურ ძიძარია და გერმანე მარშანია.

აღნიშნულის გამო საქართველოს საპატრიარქო დაუკავშირდა მსოფლიო პატრიარქის მთავარ მდივანს, არქიმანდრიტ ბართლომეს (სამარასი), რომელმაც განაცხადა, რომ ეს შეხვედრა დანიშნა პირადად მან, რადგან აფხაზთა მხრიდან გამოგზავნილი იყო არაერთი წერილი მსოფლიო პატრიარქთან აუდიენციის თხოვნით და, როგორც ამის მსურველ ნებისმიერ ქრისტიანს, აღნიშნულ პიროვნებებსაც მიეცათ საუბრის შესაძლებლობა.

არქიმანდრიტმა ბართლომემ კატეგორიულად უარყო მსოფლიო პატრიარქისგან „აფხაზეთის წმინდა **მიტროპოლიის** საბჭოს" წევრების მიწვევის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და თქვა, რომ არ არის სწორი ამ ფაქტს ეწოდოს მსოფლიო პატრიარქთან „ოფიციალური ვიზიტი", ან თუნდაც „ოფიციალური შეხვედრა"

მან ასევე განაცხადა შემდეგი: **კონსტანტინეპოლის სინოდზე გარკვევით ითქვა, რომ აფხაზეთი ტერიტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ხოლო აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედის. აქედან გამომდინარე, აფხაზი სამღვდელოების საკითხი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პრეროგატივას წარმოადგენს.**

დაწვრილებით ინფორმაციას კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ს მსოფლიო საპატრიარქო უახლოეს მომავალში მიაწვდის.

### ხელდასხმა

7 იანვარს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი **გიორგი ფოცხიშვილი**.

* * *

15 იანვარს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად დაასხა ხელი ამავე ტაძრის სტიქაროსანს, საპატრიარქოს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თანამშრომელს, **ნოე გუციძეს.**



დიაკონი ნოე რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

16 იანვარს მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის **დიაკონ ალექსანდრე ბაიაშვილს.**

# უსინანულოდ ძლევენი სასჯელი ხდება

## ღვთის განცხადების შემდეგი კვირა

**„ხოლო ესმა რაი იესუს, ვითარმედ იოანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვიდრა კაპერნაუმს, საზღვართა ზაბულონისასთა და ნეფთალემისთა, რაითა აღესრულოს თქმული იგი ესაია წინასწარმეტყუელისაი, რომელსა იტყვის: ქუეყანაი ზაბულონისი და ქუეყანაი ნეფთალემისი, გზაი ზღვისაი წიაღ-იორდანესა, გალილეაი წარმართთაი. ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ. მიერითგან იწყო იესუ ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაი** (მათ. 4, 12-17);



ნათლისღების შემდეგ კვირას ეკლესიაში იკითხება მოკლე ეპიზოდი მათეს სახარებიდან. აქ ნათქვამია, რომ როცა მაცხოვარმა იოანე წინასწარმეტყველის შეპყრობა შეიტყო, იგი გალილეაში წავიდა. ამიერიდან იწყება საზოგადო მსახურება უფლისა კაცთა მოდგმისათვის და ჩვენ ვისმენთ მის პირველ ქადაგებას. როდის გაისმა ქრისტეს სიტყვები? როცა მის ყურამდე მივიდა ცნობა იოანე ნათლისმცემლის შეპყრობის შესახებ, რომელიც შობილთაგან უპირატესი იყო. აქამდე უფალი არასოდეს ყოფილა გალილეაში, რადგან მან შესაძლებლობა მისცა ნათლისმცემელს, შეესრულებინა თავისი მსახურება და ექადაგა: **განამზადეთ გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი** (ლუკ. 3, 4). ხოლო ახლა, როცა წინასწარმეტყველი შეპყრობილია, როცა ამოვიდა მზე სიმართლისა — ქრისტე — ყველა ვარსკვლავი და მთვარე ჩაქრა. ჩვენ წინაშე მხოლოდ უფალია.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა განგვიცხადოს, რომ ადამიანებს, რომლებიც შეისმენენ ქადაგებას სინანულისა, არასოდეს მიატოვებს ღმერთი. და როდესაც მათგან განაშორებენ ყველაზე ღირსეულთ, უფალი წარმოუგზავნის სხვას, უფრო დიდს ან თავად მოვა. უფალი არ ტოვებს თავის ეკლესიას, ის თავად მობრძანდება და შეგვახსენებს სიტყვებს წინასწარმეტყველისა: **ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.** ეს ნათელი დიდებულია იმიტომ, რომ მომდინარეობს ღვთის სიკეთისგან და სიკვდილისა და ბნელის მძლეველია.

ის, რასაც მაცხოვარი სახარების ამ ადგილით წარმოგვიჩენს, არის დასაწყისი, აისი ახალი დღისა, და ეს ნათელი იზრდება, ვიდრე არ დადგება ის დღე, როდესაც შესძახებს ეკლესია: **ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ; განჰმზადენით დღესასწაული ჟამსა ყუავილთასა...** (ფსალმ. 117, 24)

**ხელდასხმა**

23 იანვარს მუხათგვერდის ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკონს იოანე ოჩიგავას.

**„საქართველოს საგვარეულოთა კავშირის“ განცხადება**

„საქართველოს საგვარეულოთა კავშირი“ აპირებს გამოსცეს წიგნები: „საგვარეულო გერბები და დროშები“ და „საგვარეულო ხატები“. გვარის წინამძღოლებს ვთხოვთ მოგვაწოდონ კომპაქტდისკზე ჩაწერილი საგვარეულო გერბების და დროშების, აგრეთვე საგვარეულო ხატების ფერადი ფოტოასლი და ისტორიები. გთხოვთ მიუთითოთ ხატის ზომები და ხატმწერი.

„საქართველოს საგვარეულოთა კავშირი“

საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ნაზღაიძე: 595 309112; ნინო ტარყაშვილი: 599 80 12 12.

ფერადი ფოტოასლები და ისტორიები გთხოვთ, დატოვოთ ჟურნალ „გვარიშვილობის“ რედაქციაში. შაბათს და კვირას 12-19სთ. ოთხშაბათს 17-19სთ.

მისამართი: ელიას მთა, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, კარიბჭე, პირველი სართული.

# ილორის ეკლესიაში კვლავ ცდილობენ ქართული კვალის წაშლას

XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს აფხაზეთში „რესტავრაცია“ ჩაუტარდა, რის შედეგად მან საბოლოოდ დაკარგა თავისი სახე და უკვე არაფრით ჰგავს ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლს.

როგორც მოგეხსენებათ, ილორის ეკლესიის „რესტავრაცია“ აფხაზეთში 2010 წელს დაიწყო. მაშინ ილორის გარე ფასადი თეთრად შეღებეს და მათ შორის აღმოსავლეთ კედელიც, სადაც განთავსებული იყო ხუთი ქართული ლაპიდარული წარწერა. მაშინ ქართულმა მხარემ ამ ვანდალური აქტის შესახებ საერთაშორისო საზოგადოებას შეატყობინა და ამიტომ „რესტავრაცია“ შეჩერდა (ინფორმაცია ამის შესახებ იხილეთ 2010 წლის „საპატრიარქოს უწყებანის“ №40-ში).



ამჯერად აფხაზმა „რესტავრატორებმა“ თავისი საქმიანობა კვლავ გააგრძელეს, რის შედეგადაც წითლად გადალებეს ილორის ეკლესიის თაღები, რომელზეც დატანილი იყო წარწერები ქტიტორების, აქ მოღვაწე საეკლესიო პირებისა და შემომწირველთა ვინაობის შესახებ; საბოლოოდ გადალებეს ფრესკების ის მცირე ნაწილიც, რომელიც ტაძარში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო.



20 იანვარს ილორის წმიდა გიორგის ეკლესიის გადარჩენის შესახებ საქართველოს პარლამენტში საპატრიარქოს წარმომადგენლები, დეპუტატები, კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისა წარმომადგენლები შეიკრიბნენ. საქართველოს საპატრიარქოს წარმოადგენდა: კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), არქიმანდრიტი პიმენი (ქარდავა) და დეკანოზი ბიძინა (გუნია). შეხვედრაზე დაიწერა საგანგებო მიმართვა, რომელიც UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნა. ქართული საზოგადოება მოითხოვს, რომ სასწრაფოდ მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეაგირება, რათა XI საუკუნის ეს ისტორიული ძეგლი განადგურებას გადაურჩეს და საბოლოოდ შეწყდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მიზანმიმართული განადგურება.

გაზეთის შემდეგ ნომერში ჩვენ შემოგთავაზებთ უფრო ვრცელ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე.

**მარიამ გაგუა**

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### კათოლიკოს-პატრიარქი იერუსალიმში მიემგზავრება

16 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციასთან ერთად, სპეციალური ჩარტერული რეისით წმინდა მიწაზე მიემგზავრება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სასულიერო პირები და მრევლი.

ვიზიტის ფარგლებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდება იერუსალიმის პატრიარქს, მოილოცავს წმინდა მიწის სიწმინდეებს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია სამშობლოში 24 თებერვალს დაბრუნდება.

### მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია საპატრიარქოში

13 თებერვალს საქართველოს 2-დღიანი ვიზიტით ეწვია მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, პერგამოს მიტროპოლიტი იოანეს მეთაურობით.

14 თებერვალს მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. საუბარი შეეხო აფხაზეთში არსებულ პრობლემებსა და მართლმადიდებლურ სივრცეში არსებულ სხვა საკითხებს.



როგორც მედიის საშუალებებით გავრცელდა, ა.წ. 12 იანვარს ე.წ. აფხაზეთის მიტროპოლიის წარმომადგენლობა მსოფლიო პატრიარქმა მიიღო. აფხაზი სქიზმატები მათი დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვდნენ. მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესია დაარწმუნა, რომ სქიზმატებთან მოლაპარაკებებში არ შევა და უბრალოდ მიიღო ისინი, რადგანაც შეხვედრას ითხოვდნენ. 14 თებერვლის შეხვედრაზე მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობას.

შეხვედრის შემდეგ პერგამოს მიტროპოლიტმა იოანემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: *„მადლობას ვწირავთ უფალს, რომ საშუალება მოგვეცა, კიდევ ერთხელ ვწვეოდით საქართველოს ღვთივკურთხეულ მიწას.*

*ჩვენ მსოფლიო პატრიარქის მიერ ვართ წარმოგზავნილები, რათა კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ მსოფლიო საპატრიარქო არის და მუდამ იქნება საქართველოს ეკლესიის გვერდით ნებისმიერ რთულ ვითარებაში.*

*შეხვედრაზე ზოგად საკითხებზე ვისაუბრეთ, რომელიც აქტუალურია სრულიად მართლმადიდებლური სამყაროსათვის; ასევე ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიას აწუხებს.*

*ვფიქრობთ, რომ ჩვენი შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი იყო. მართლმადიდებლები ღვთისმოსავი ხალხი ვართ და გვწამს, რომ ღმერთი განსაცდელში არ მიგვატოვებს და ნებისმიერი პრობლემა, ღვთის შეწევნით, კეთილად გადაწყდება. ეს ჩვენი იმედიანი განწყობა გვსურს გადავცეთ ქართველ ხალხს. ღმერთი მარად შემწეა. გისურვებთ, რომ უფალმა გადმოგხედოთ და შემწე და მფარველი იყოს ყოველ თქვენს გასაჭირსა და განსაცდელში.*

*მადლობას მოვახსენებთ კეთილად მიღებისათვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, თქვენს მღვდელმთავრებს და სამღვდელოებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი."*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) აღნიშნა, რომ მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიას და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღიარებს საქართველოს ეკლესიის მთლიანობას და აფხაზეთი არის საქართველოს ეკლესიის განუყოფელი ნაწილი. მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს მსოფლიოს პატრიარქის მზადყოფნა ყოველგვარი დახმარებისთვის, რათა ქართველმა მღვდელმსახურებმა შემდგომში აფხაზეთში ჩვენი მრევლის დამწყემსვა შეძლონ.

### დაჯილდოება

12 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში შემდეგი მღვდელმსახურები დააჯილდოვა:

**მღვდელ-მონაზონი სერაპიონი (ნიკლაური)** — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

**მღვდელი დავითი იობიძე** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

**ხელდასხმა**

1 იანვარს წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მესტიისა და ზემო სვანეთის მთავარეპისკოპოსმა ილარიონმა (ქიტიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის დიაკონს გიორგი ფერაძეს.

მღვდელი გიორგი თემქის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

**ჟურნალ „გვარიშვილობის" ახალი ნომერი**

გამოვიდა ჟურნალ „გვარიშვილობის" მომდევნო, თებერვლის ნომერი, რომელშიც იხილავთ საგვარეულო მოძრაობის მიერ გასულ ორ თვეში ჩატარებულ (ნოემბერი, დეკემბერი) და მომავალ სამ თვეში ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმას; აგრეთვე, — ინფორმაციას შემდეგ გვარებზე: **გელაშვილებზე, ოქროპირიძეებზე, გუგეშაშვილებზე, არბოლიშვილებზე, ლაცაბიძეებზე, ბიბილეიშვილებზე, მანჩხაშვილებზე, ჯაფარიძეებზე, ქამხაძეებზე, ლაზარიაშვილებზე, ჯიქიებზე და სხვ.**

**ქართული ტრადიციული მუსიკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრი 2012 წლის ოქტომბრიდან იწყებს მუსიკის ძირითად საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სწავლებას. ამჟამად მუსიკა უნივერსიტეტში მეორე პროგრამის სახითაა წარმოდგენილი.

მუსიკის ფუნდამენტურ მიმართულებებთან (მუსიკის ისტორია და თეორია) და საქართველოსთვის ახალ მიმართულებებთან ერთად (ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკა, თანამედროვე პოპულარული მიმდინარეობების თეორია და პრაქტიკა და აკუსტიკური და ელექტროაკუსტიკური კომპოზიცია) აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ აირჩიონ **ეთნომუსიკოლოგიის** მიმართულება. ამ უკანასკნელის მიზანია ფართო ცოდნისა და მრავალმხრივი უნარების მქონე ეთნომუსიკოლოგების აღზრდა. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს როგორც ქართული ტრადიციული მუსიკის (ხალხური სიმღერა, საეკლესიო საგალობელი და ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრა), ისე მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული მუსიკის თეორიის, ისტორიისა და პრაქტიკის შესწავლას. უნივერსიტეტის აკადემიური რესურსები და სასწავლო გარემო განსაკუთრებულად ხელისშემწყობ პირობებს უქმნის ამ მიმართულებით დაინტერესებულებს: ეთნომუსიკოლოგიას ასწავლიან კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები, პროფესორი თამაზ გაბისონია, მუსიკოლოგიის დოქტორი ნინო კალანდაძე და მაგისტრანტი ნინო რაზმაძე. ქვეყნის საუკეთესო კადრებს მიჰყავთ ეთნომუსიკოლოგებისთვის საინტერესო და საჭირო კურსები ანთროპოლოგიაში, ეთნოლოგიაში, ისტორიაში, არქეოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, სოციოლოგიაში, და სხვ.

მუსიკის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუსიკის მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში ჩაბარება.

მათ კი, ვისაც უბრალოდ ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა სურს, უნივერსიტეტი სთავაზობს ორი დონის სასერტიფიკატო კურსებს (დამწყებთათვის და უფრო მაღალი დონისას). კურსები მსურველებს შეასწავლიან ქართულ სიმღერას, საეკლესიო საგალობელს და ხალხურ საკრავებზე დაკვრას. კურსების ხანგრძლივობა 12 კვირაა. ერთი კურსის ფასი - კვირაში 15 ლარი.

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ცნობებისთვის შეუძლიათ იხილონ მუსიკის ცენტრის ვებგვერდი: tinyurl.com/iliamusic, მიმართონ მუსიკის ცენტრის დირექტორს, მარინა ადამიას (+995) 595 296264 და/ან თამაზ გაბისონიას (+995) 593 181000.

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

რევმატოლოგი — 17 თებერვალი, 15.00-17.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 17 თებერვალი, 15.00-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 18 თებერვალი, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 18 თებერვალი, 13.00-14.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 18 თებერვალი, 14.00-16.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 19 თებერვალს, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ. (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით).

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით,***

***დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31***

**სამძიმარი**

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის უფროსს, ქალბატონ მზექალა ქარსელაძეს გარდაეცვალა ბიძა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი ჭინჭარაული და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ალექსის სული.

## ქრონიკა. ინფორმაცია.

**დაჯილდოება**

15 თებერვალს, მირქმის დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (რუაძე)** ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით დააჯილდოვა.

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

დერმატოლოგი — 23 თებერვალი, 15.30-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 25 თებერვალი, 11.30-12.30 სთ.;

ანგიოლოგი — 25 თებერვალი, 13.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 27 თებერვალი, 15.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 29 თებერვალი, 16.30-18.00 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ. (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით).

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული და ზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31***

# „არა ეჩუენო კაცთა მმარხველად..."

## ყველიერის კვირა. ადამის განდევნა სამოთხიდან

***რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი. და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნნიან პირნი მათნი, რაითა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყვი თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაითა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ. ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან. რამეთუ სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი (მათ. 6, 14-21).***

***უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი.***

რატომ საუბრობს მაცხოვარი მარხვის დაწყების წინა დღეს მიტევების შესახებ? მიზანი და არსი მარხვისა არის ის, რომ ჩვენ მოვიპოვოთ საუნჯე. მაგრამ არა ის საუნჯე, რომლის მოგროვება შესაძლებელია აქ, მიწაზე, სადაც მას ჩრჩილი გახრწნის და ჟანგი შეჭამს, სადაც მპარავნი ამოთხრიან და მოიპარავენ, არამედ ის, რომელიც ზეცაშია; არა ის საუნჯე, რომელსაც მოჰყვება დაცემა, არამედ ის, რომელიც წარგვადგენს უფლის წინაშე. და სადაც არის სიყვარული ღვთისა, სადაც უფლის სიხარულია ყოველი მოქცეული კაცის, ყოველი ჩვენგანის გამო, იქ უნდა იყოს ჩვენი გულიც.

ჭეშმარიტი მიტევება შეუძლებელია რწმენის სრული აღიარების, რწმენით ცხოვრების, ყოველგვარი ტყუილისა და ბოროტების უკუგდების გარეშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ მოწოდებულნი ვართ გავიგოთ ორი რამ: პირველი, რომ მიტევება არ მოხდება იქ, სადაც არ არის შეცნობა ცოდვისა, და მეორე, მიტევება შეუძლებელია, თუ ის არ მოდის ღვთისაგან და ამასათან, მხოლოდ ცოდვების უარყოფა გვაძლევს შენდობას.

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადამიანთა ცნობიერებაში წაიშალოს გაგება ცოდვისა, გაუქმდეს ღვთის მცნებები და ზნეობრივი კანონები. თუკი მეტად აღარ იარსებებს ზნეობრივი კანონები, აღარც ცოდვა იქნება; და გაუგებარია, რა მიტევებაზე შეიძლება ლაპარაკი?! რაც მეტად ჩაუღრმავდება ადამიანი სულიერ ცხოვრებას და, მაშასადამე, რაც მეტად შეიცნობს, რა საშინელებაა იგი, მით მეტად ძლიერად სჭირდება მას ღვთისაგან შეწყალება, მეორე ადამიანისაგან შენდობა და მით მეტად იოლად მიუტევებს სხვებსაც.

ყველაზე საშინელია, როგორც ყოველთვის, გულგრილობა, ისეთი სახის მიღება, თითქოს ყველაფერი რიგზეა (არაფერია შესანდობი), სურვილი, არ დავინახოთ ადამიანი, მივატოვოთ იგი და დავივიწყოთ მისი არსებობა; ვიფიქროთ, თუ განვეშორებით ადამი-

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

საზოგადოება ამ ფაქტს წმიდა მიწაზე კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტსაც უკავშირებს და გვთხოვენ კომენტარს.

განვმარტავთ, რომ, მართალია, მისი უწმიდესობას, ილია II-ს ვიზიტის პერიოდში შეხვედრები ჰქონდა როგორც სასულიერო, ისე საერო უმაღლესი რანგის პირებთან, მაგრამ ჯვრის მონასტრის შესახებ საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს ეკლესიას ჯერჯერობით არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზეც, საქართველოს ხელისუფლებამ კონკრეტულად რა ქმედებები განახორციელა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

*28 თებერვალი, 2012 წელი*

### ხელდასხმა

18 თებერვალს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა მცხეთის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტერი.

ლიტურგიაზე ეპისკოპოსმა იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკვანს თორნიკე ცერცვაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტი **მალხაზ აფციაური** და სახელად **დავითი** უწოდა.

**მღვდელი თორნიკე** ქვემო ფონიჭალის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

**დიაკონი დავითი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

25 თებერვალს მარტყოფის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **თამაზ შავთვალაძე** და სახელად **თომა** უწოდა.

**დიაკონი თომა** ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

### დაჯილდოება

26 თებერვალს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **მიტრით** დააჯილდოვა:

თბილისის ჯვრის მამის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ტიმოთე ნიკლაური;**

ჯვრის მამის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი თავმაზ ჩოხელი.**

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ანგიოლოგი — 3 მარტს, 13.00-14.00 სთ.

ენდოკრინოლოგი — 3 მარტს, 15.30-16.30 სთ.

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ. (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით). ***დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31***

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით ზემოთ მითითებულ მობილურ ნომერზე.***

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელს, ბესო ორმოცაძეს გარდაეცვალა მეუღლე — ფატი ორმოცაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ფატის სული.

---

**დიდი მარხვის პირველი კვირა**

# მართლმადიდებლობის ზეიმი

## ვართ კი მონაწილე ამ ღვთაებრივი სიყვარულისა?

**დღეს განსაკუთრებული დღეა — დღე მართლმადიდებლობის ზეიმისა, წმინდა მართლმადიდებლობის დღესასწაულისა, წმინდა და სამოციქულო ეკლესიისა, მოზეიმე ეკლესიისა — ზეცად და მებრძოლი ეკლესიისა — ქვეყნად. ეს სასიხარულო დღეა განხორციელებული ძე ღვთისას სრული მეუფებისა მიწაზე, სიხარული მისი სხეულისა — ქრისტეს ეკლესიისა.**

ქრისტეს სხეული ყველა ის ქრისტიანია, ვინც ცხოვრებისეული ღვაწლით მიემართება რწმენისა და ჭეშმარიტებისაკენ, ეკლესიის წიაღისაკენ, ყველა, დაწყებული წმინდა მოციქულებიდან, ეკლესიის მოძღვრებიდან, მისი პატრიარქებიდან, განმანათლებლებიდან, წმინდა მამებიდან, რომელთაც უერთდებიან ღვთის კაცნი — ერისკაცნი, დამცველნი რწმენის ჭეშმარიტებისა, უკვე გარდაცვლილნი თუ ჯერ კიდევ

გასაუბრება და ჩარიცხვა მოხდება 10-იდან 15 მაისამდე

I კლასში ჩარიცხულთა მშობელმა/მშობლის კანონიერმა წარმომადგენელმა 2012 წლის 15 მაისამდე უნდა წარმოადგინოს:

დაბადების მოწმობის დედანი პირადი ნომრის მითითებით;

მშობლის ან/და მშობლის კანონისმიერი წარმომადგენლის/პირადობის მოწმობის ასლი/ასლები;

დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

ორი ფოტოსურათი 3X4, დისკთან ერთად;

ჯანმრთელობის ცნობა გადატანილი ინფექციური დაავადებების, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის მითითებით;

დახასიათება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან (ბაღიდან);

სკოლა-პანსიონში სწავლა ფასიანია.

I-VI კლასებისათვის მოქმედებს გახანგრძლივებული ჯგუფები.

სკოლა-პანსიონში ჩარიცხულ მოსწავლეებს (სურვილის მიხედვით) მოემსახურებათ მიკროავტობუსები.

შექმნილია სხვადასხვა უფასო და ფასიანი წრეები;

საბაზო საფეხურის მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ შეუძლიათ დაეუფლონ ხის მხატვრული დამუშავების, სამკერვალო ნაწარმის, თექის ხელოსნის და მემინანქრის სპეციალობებს, ხოლო ცხრაკლას დამთავრებულებს - სწავლა განაგრძონ სკოლა-პანსიონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სკოლა-პანსიონს თავისუფალი ადგილები აქვს შემდეგ კლასებში:

II კლასი – 1 ადგილი;
V კლასი - 2 ადგილი;
VI კლასი - 3 ადგილი;
VII კლასი - 3 ადგილი;
VIII კლასი - 2 ადგილი;

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ლოტკინის დასახლება, სამღერეთის ქ. 13

ტელეფონები: 266-99-89, 224-58-33, 224-58-34

E-mail: mefetamari@yahoo.com

veb gverdi: www.mefetamari.ge

ტრანსპორტი: დადიანის ქუჩიდან (გადასასვლელ ხიდთან) ავტობუსი № 36, № 48; მიკროავტობუსი № 222.

*სკოლა-პანსიონის დირექცია*

### ხელდასხმა

24 მარტს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკონ ლუკა რუხაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა **იოსებ ხოხონიშვილი.**

**მღვდელი ლუკა** და **დიაკონი იოსები** სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებენ.

### დაჯილდოება

25 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით დააჯილდოვა **მღვდელ-მონაზონი ნერსე (სამხარაძე).**

### შეეწიეთ სნეულს

პატარა ნიკოლოზ ჩლაიძეს ორივე ფეხი მოკვეთილი აქვს და ახალი პროტეზების შესაძენად მის ოჯახს საკმარისი თანხა არ გააჩნია.



მაგთის, ჯეოსელისა და ბილაინის ქსელში გახსნილია მის სახელზე ფასიანი ზარის ანგარიში. ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

***დარეკეთ ნომერზე: 0901000003.***

### საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

26 მარტიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) განახლდება შემეცნებითი საუბრები.

დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი — 29.03.12. — ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ისტორია.

თემა: „აზარტული თამაშები XXI საუკუნის ტექნიკური განვითარების ჭრილში".

საუბარს წარმართავს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი) (18:30 სთ.).

პარასკევი — 30.03.12. — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ბავშვთა სულიერი აღზრდის ასპექტები".

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## დაჯილდოება

30 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დეკანოზი იაკობ უშიკიშვილი.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

ოტორინოლარინგოლოგი — 5 აპრილს, 16.00-17.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 6 აპრილს, 15.00-17.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 7 აპრილს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 7 აპრილს, 13.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავის და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 8 აპრილს, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი — სამშაბათსა და ხუთშაბათობით — 12.00-14.00 სთ. (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით ***5 99 57 65 31***).

***ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით ზემოთ მითითებულ ნომერზე.***

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

ვნების კვირას და ბრწყინვალე შვიდეულში საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში შემეცნებითი საუბრები არ გაიმართება.

## ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

31 მარტს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ერისთავის ქუჩაზე ახლადაშენებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია. ლიტურგიაზე ეპისკოპოსმა იაკობმა დიაკვნად აკურთხა სოფელ გამარჯვების მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი ეგნატე (ჯანგირაშვილი).**

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი თეიმურაზ მჟავანაძე** დაინიშნა. მასთან ერთად იმსახურებს **დეკანოზი ილია მაღლაფერიძე.**

## სამძიმარი

6 აპრილს 40 დღე შესრულდება სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურ, **დეკანოზ ავთანდილ ბურდულის** გარდაცვალებიდან. საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძმას, დიდუბის ტაძრის დეკანოზ ბაქარს და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ **დეკანოზ ავთანდილის** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 31 მარტს გარდაიცვალა მლეთის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერმონაზონი იოანე (ყურაშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ **ბერმონაზონ იოანეს** სული.

* * *



საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 1 აპრილს გარდაიცვალა სამთავისისა და გორის ეპარქიის უხუცესი მღვდელმსახური, სოფელ მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ნოდარ ბერიაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ **დეკანოზ ნოდარის** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 1 აპრილს გარდაიცვალა თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი გიორგი (ზუბლიჩენკო)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებულ **არქიმანდრიტ გიორგის** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზ დავით მამალაძეს გარდაეცვალა მშობლები — ამირან და ქეთევან მამალაძეები და სამძიმარს უცხადებს განსვენებულების ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული **ამირანისა და ქეთევანის** სულები.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თანამშრომელს, ნანი მეტონიძეს გარდაეცვალა დედამთილი — თამარ ვაშაკიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **თამარის** სული.

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ხელდასხმა

25 მარტს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ თომა ცეცხლაძეს.**

**მღვდელი თომა** თბილისში, ვაზისუბნის ცხრა ძმა კოლაელ ყრმათა სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

1 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული და ამავე ტაძრის მედავითნე **დაჩი დავლიანიძე.**

**დიაკონი დაჩი** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

1 აპრილს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული და ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მედავითნე **ნიკოლოზ სხულუხია.**

**დიაკონი ნიკოლოზი** თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

1 აპრილს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ახალციხის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **დავით ბერაძე.**

**დიაკონი დავითი** თბილისში, ვაზისუბნის ცხრა ძმა კოლაელ ყრმათა სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

7 აპრილს ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის **დიაკონ პანტელეიმონ ჩუბინიძეს.**

**მღვდელი პანტელეიმონი** დროებით ზესტაფონის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თანამშრომელს, ფსიქოლოგ მარინა კაჭარავას გარდაეცვალა მამა ანდრო ბრეგვაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **ანდრიას** სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ წმინდა ქალწულმოწამე ბარბარეს სახელობის ტაძრის იკონომოსს, ევგენია კირვალიძე-ლეჟავას გარდაეცვალა ვაჟი ლევან ლეჟავა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **ლევანის** სული.

### „დავითიანის" კონკურსი

დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების უკეთ შესწავლა და დღემდე უცნობი ფაქტების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, — ამ თემას შეეხება „დავითიანნის" ახალი პროექტი- „ლორე-ტაშირის ქართული ძეგლები", რომლის მიზანია მეტი ინფორმაციის შეგროვება დღემდე უცნობ ფაქტებზე. თბილისის მასშტაბით „დავითიანნი" 30 უნივერსიტეტის თვითმმართველობასთან თანამშრომლობს და ახორციელებს ერთობლივ პროექტებს, ამიტომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ სტუდენტებს. პროექტში მონაწილე სტუდენტმა უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები: მისი ნაშრომი არ უნდა აღემატებოდეს 4000–ასო სიმბოლოს, ნაშრომი უნდა წარმოადგინოს საკუთარი უნივერსიტეტის თვითმართველობაში, ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს 12 — ზომიან sylfaen შრიფტში.

გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები: 1-ლ ადგილზე გასულს – 700 ლარი, მეორეზე- 500, მესამეზე კი — 300 ლარი, ასევე საუკეთესო ოცი ნაშრომის ავტორი გაემგზავრება ლორე–ტაშირში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნაშრომები შემდეგ თემებზე: ლორე–ტაშირის ისტორიული გეოგრაფია, ეკლესიების კედლის მხატვრობა, ლორე–ტაშირის ქართული სამონასტრო კომპლექსები, ლორე–ტაშირი ადრეულ შუა საუკუნეებში, ახტალის ეპარქია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ლორე–ტაშრი 1918–1921 წლებში. თემები ასევე შეიძლება შეეხებოდეს ლორე–ტაშირის ლიტერატურულ, ეპიგრაფიკულ, არქიტექტურულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

კონკურსის ფარგლებში ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა 7 მაისი, ამ ხნის განმავლობაში იგეგმება სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ, შეხვედრები მეცნიერებთან, გამოფენები და სხვა მნშვნელოვანი ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ შემდეგი წიგნებიდან:

1. ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საღვრები"
2. დევი ბერძენიშვილი - „ქვემო ქართლი, დმანისი. 5 ტომი" „ახტალის მიმართულებით" ნარკვევები.

## ქრონიკა. ინფორმაცია.

### ხელდასხმა

7 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ ანდრიას (მამულაშვილი).**

**მღვდელ-მონაზონი ანდრია** ჯუმათის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

8 აპრილს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი **გიორგი ნერგაძე.**

**დიაკონი გიორგი** დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

8 აპრილს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ზაზა სინჯიაშვილი** და სახელად **ზაქარია** უწოდა.

**დიაკონი ზაქარია** ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

14 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი ექადიის წმინდა გიორგის სახელობის სამღვდელმთავრო რეზიდენციის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ პეტრეს (გოგეშვილი).**

**მღვდელ-მონაზონი პეტრე** ექადიის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

15 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ლუკა ბაკურაძეს.**

* * *

22 აპრილს იწის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში ნიკორწმინდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ თომა რატიანს.**

**მღვდელი თომა** ამბროლაურის მაცხოვრის მირქმის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

### აღკვეცა

14 აპრილს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) სამონაზვნეებად აკურთხა ჯიხეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის დედათა მონასტრის წევრები:

მორჩილი **აკვილინა ჩარკვიანი** — სახელად ეწოდა **აკვილინა,** მორჩილი **ნინო ხაინდრავა** — სახელად ეწოდა **დომნიკა,** მორჩილი **თინათინ ცერცვაძე** — სახელად ეწოდა **თინათინი,** მორჩილი **ნანა გაბუნია** — სახელად ეწოდა **ნანა,** მორჩილი **ციალა მეგრელაძე** — სახელად ეწოდა **ბარბარე,** მორჩილი **ნინო ხუსკივაძე** — სახელად ეწოდა **პელაგია.**

მორჩილის კაბით შეიმოსნენ: **ნონა ლიკლიკაძე** და **ნანი მეფარიშვილი.**

* * *

14 აპრილს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) შეასრულა მონაზვნად აღკვეცის წესი:

ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის სამღვდელმთავრო რეზიდენციის დედათა მონასტრის სამონაზვნე **მართა ჭკუასელი** — სახელად ეწოდა **ბარბარე;**

ადამიანის პიროვნება თავის საფუძველში, ცოდვით დაცემის ყველა საფეხურზე, თეოცენტრული და ქრისტეცენტრულია და თავის მარადიულ ღვთივბოძებულ საზრისსა და სისავსეს იგი მარტოოდენ ქრისტესთან მადლმოსილი საიდუმლო შეერთებით, სულიწმინდის მადლით იძენს. ამიტომაც ამბობს წმინდა პავლე მოციქული: *„რამეთუ ვინ ცნა გონებაი უფლისაი, რაითამცა აზრახა მას? ხოლო ჩუენ გონებაი ქრისტესი გუაქუს“ (1 კორინთ., 2, 16); „ესე ზრახვაი იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელცა-იგი ქრისტე იესუის მიერ“ (ფილიპ. 2,5); „და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაითა“ (ეფეს. 4, 23).*

*ამოკრებილია ღირსი იუსტინე პოპოვიჩის წერილიდან „პიროვნებისა და შემეცნების პრობლემა წმინდა მაკარი ეგვიპტელის სწავლების მიხედვით“*

*მოამზადა*
*მარიამ გაგუამ*

## ქრონიკა. ინფორმაცია.

**დაჯილოდება**

22 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელი ანდრია ჯალმაიძე დააჯილდოვა ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

**განცხადება**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული „მოწყალების ცენტრი“ აცხადებს მიღებას 2012-2013 სასწავლო წლისთვის პროფესიულ კოლეჯში სპეციალობაზე — ექთნის თანაშემწე-მოწყალების და.

საბუთების მიღება: 9 ივლისიდან — 9 აგვისტომდე.

გასაუბრება ჩატარდება 3 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 17 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილეს.

*საკონტაქტო ტელეფონი 577-22-44-69,*
*http://www.mercycenter.ge*
*მისამართი ქ. თბილისი ურბნისის ქ. #7*

**უფასო სამედიცინო კონსულტაცია**

*„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:*

დერმატოლოგი — 26 ივლისს, 15.30-17.00 სთ.;
თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 27 ივლისს, 16.00-17.00 სთ.;
ტრავმატოლოგი — 27 ივლისს, 17.00 სთ.;
ანგიოლოგი — 28 ივლისს, 13.00-14.00 სთ.;
კარდიოლოგი — ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს — 15.00-17.00 სთ. (დანარჩენ დღეებზე დაგვიკავშირდით **5 99 57 65 31**).

*ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ ზემოთ მითითებულ ნომერზე.*

*„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახურში არდადეგები დაიწყება 1 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე.*

**ეძებენ დაკარგულს**



დედა ეძებს ქუთაისის მკვიდრ 34 წლის აკაკი ვალტერის ძე თოფურიძეს, რომელიც მისივე წერილის თანახმად, უნდა იმყოფებოდეს რომელიმე მონასტერში. უკვე 5 თვეა შვილის შესახებ დედას არაფერი შეუტყვია.

თუ ვინმემ იცის აღნიშნული პიროვნების ადგილსამყოფელი, გთოვთ, დაუკავშირდეთ აკაკის დედას და აცნობოთ.

ტელ.: (0431) 27-80-48 (ქუთაისი);
555419850; 555410798 მარინა მოდებაძე.

ღვთაების სახელობის საპატრიარქო ტაძარში პარაკლისი შეასრულა, მრევლი დალოცა და გაძლიერებისკენ მოუწოდა.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი თელავიდან ალავერდის სამონასტრო კომპლექსში მიბრძანდა. მონასტრის მახლობლად კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობას შეხვდნენ. შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა პრეზიდენტი ალავერდის მარანში მიიპატიჟა.

ალავერდის მარანში საგანგებოდ სტუმრებისთვის სპეციალური ტექნოლოგიით დამზადებული მრავალწლიანი დაძველების რქაწითელის ჭური გაიხსნა.

## იუბილე

წმინდა ლაზარეს აღდგინების ტაძრის წინამძღვარს **დეკანოზ გიორგი დადუნაშვილს** სასულიერო მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა. „საპატრიარქოს უწყებანი" უერთდება მადლიერი მრევლის მილოცვებს და დღეგრძელობასა და სულიერ წინსვლას უსურვებს ღვაწლმოსილ მოძღვარს.

## ხელდასხმა

15 ივლისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის **დიაკონ იოანე ჩალიგავას,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ლაშა გორელიშვილი** და სახელად **იოანე** უწოდა.

**მღვდელი იოანე** ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

**დიაკონი იოანე** სამგორის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

22 ივლისს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა დიღმის წმინდა ცამეტი ასურელი მამის სახელობის ეკლესია. ლიტურგიაზე ეპისკოპოსმა იაკობმა დიაკვნად აკურთხა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის, ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი დამიანე (ფორჩხიძე).**

* * *

28 ივლისს ნარიყალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **ექვთიმე ღარიბაშვილი.**

## დაჯილდოება

29 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ხევსურეთში მოღვაწე **მღვდელი იოსებ გაჩავა** გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

## განცხადება

საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას საეკლესიო გალობის საბაკალავრო პროგრამაზე. სწავლა უფასოა. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ვაჟები. საბუთების მიღება იწარმოებს მთაწმინდის მამა დავით გარეჯელის სახელობის მამათა მონასტერში 2 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით 11.00 საათიდან 16.00 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 24 სექტემბრიდან შემდეგ დისციპლინებში: 1. ქართული საეკლესიო გალობა და ხალხური სიმღერა (ზეპირი); 2. მუსიკის თეორია (წერა, ზეპირი); 3. ქართული ენა (წერა); 4. საქართველოს ისტორია (ზეპირი).

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საბუთების მიმღებ კომისიას. ტელ.: 599 93 18 04; 593 32 77 79.

***

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული „მოწყალების ცენტრი" აცხადებს მიღებას 2012-2013 სასწავლო წლისთვის, პროფესიულ კოლეჯში სპეციალობაზე ექთნის თანაშემწე-მოწყალების და.

საბუთების მიღება 9 ივლისიდან — 9 აგვისტომდე.

გასაუბრება ჩატარდება 3 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 17 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილეს.

***საკონტაქტო ტელეფონი 577-22-44-69,***
***http://www.mercycenter.ge***
***მისამართი ქ. თბილისი ურბნისის ქ. №7***

## სამძიმარი

საპატრიარქოს პრეს-ცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ბრიუსელის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ დოსითეს (ბოგვერაძე) გარდაეცვალა ძმა, გიორგი ბოგვერაძე და სამზიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული გიორგის სული.

ღვთისადმი ლოცვა ყოველ კონკრეტულ საქმეზე მოძღვრისგან კურთხევის აღებით უნდა დაგვირგვინდეს. სიტყვას დიდი ძალა აქვს, მით უფრო დიდი ძალა აქვს ღვთისმსახურის სიტყვას! განა მოძღვრის სიტყვით, მის მიერ სულიწმინდის მოხმობით არ აღესრულება წირვაზე ძღვნის კურთხევა? მღვდელმსახურებს დიდი ძალა აქვთ ღვთისაგან ბოძებული. ამიტომ ეუბნება მაცხოვარი თავის მოციქულებს: ***„ამენ გეტყვი თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათ. 18, 18).*** მაშასადამე, წარმოიდგინეთ, რა ძალა აქვს ღვთისმსახურისგან მიღებულ კურთხევას!

ღვთისმსახურის ხელით გარდამოდის მორწმუნეზე მადლი სულისა წმინდისა. კურთხევის ძალა და სიწმინდე არ არის დამოკიდებული მღვდელმსახურთა პიროვნულ სიწმინდესა და ძალაზე (თუმცა, ისიც ცხადია, რომ მართალთა ლოცვას უფრო მეტად ისმენს უფალი და მათ მიერ მრავალი სასწაული აღესრულება). ღვთისმსახური არის შუამავალი მაცხოვარსა და მორწმუნეს შორის. ***„ჩვენ გაკურთხებთ თქვენ უფლის სახელით, მაგრამ მაკურთხებელი უფალია და არა ადამიანი, უფლის მარჯვენა აკურთხებს ღვთისმსახურის პირით,“*** — ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს განმარტებაში. ამიტომ ყოველ ქრისტიანს მართებს რწმენითა და კრძალვით მიიღოს ლოცვა-კურთხევა ღვთისმსახურთაგან.

***მომზადა მარიამ გაგუამ***

## ქრონიკა. ინფორმაცია.

**ხელდასხმა**

5 აგვისტოს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **ბიქტორ ბუკია** და სახელად **ილია** უწოდა.

**დიაკონი ილია** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

***

18 აგვისტოს თელეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **იოანე ცეკვავა,** ხოლო მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ილია მერაბიშვილს**.

***

26 აგვისტოს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **გიორგი სტეფნაძე.**

**დიაკონი გიორგი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

***

26 აგვისტოს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვანად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი **გიორგი ცაბაძე.**

**დიაკონი გიორგი** თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

27 აგვისტოს მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **რამაზ ალანია** და სახელად **მიქაელი** უწოდა.



**დიაკონი მიქაელი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

***

28 აგვისტოს რუსთავის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **იოანე სამხარაძე.**

**დიაკონი იოანე** წყნეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

***

2 სექტემბერს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა **არჩილ ოქრუაშვილი.**

**დიაკონი არჩილი** სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

3 სექტემბერს მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ირაკლი დავითულიანი.**

**დიაკონი ირაკლი** თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში იმსახურებს.

***

21 სექტემბერს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტ-

მა თადეოზმა (იორამიშვილი) დიაკვნად აკურთხა მედავითნე **ონისე გოგიაშვილი.**

**დიაკონი ონისე** თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში (საბურთალოს სასაფლაოს ტერიტორიაზე) იმსახურებს.

### ბერად აღკვეცა

27 სექტემბერს ხირსის წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის მამათა მონასტერში ბოდბელი მთავარეპისკოპოს დავითის (ტიკარაძე) ლოცვა-კურთხევით ხირსის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გრძელიშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი არჩილ ალასანია** და სახელად **იოსები** უწოდა.

### საძირკვლის კურთხევა

26 აგვისტოს გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ვარკეთილის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის საძირკველი.

### ტაძრის კურთხევა

21 სექტემბერს მარგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აკურთხა ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი.

ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჯერ კიდევ 1993 წელს მარგველ მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე) დროს ჩაეყარა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეკლესიის აგებას ხელმძღვანელობდა დეკანოზი გრიგოლ აბულაძე, ამჟამად სხალთელი ეპისკოპოსი სპირიდონი. საბოლოოდ კი ტაძარი დასრულდა მეუფე ვახტანგისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით.

წირვის დასასრულს მარგველმა მიტროპოლიტმა ვახტანგმა ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და იღუმენის წოდება მიანიჭა ამავე ტაძრის მღვდელმსახურს, **მღვდელ-მონაზონ მაკარის (გოცაძე).**

### ეძებენ დაკარგულს

ოჯახი ეძებს 30 წლის დაკარგულ გიორგი ხაბურძანიას, რომელიც 4 თვეზე მეტია, რაც გავიდა სახლიდან და შინ აღარ დაბრუნებულა. გიორგი ბავშვობიდან მორწმუნეა.



ოჯახის წევრების აზრით, შესაძლებელია, გიორგი რომელიმე მონასტერში იმყოფებოდეს.

თუ ვინმეს აქვს რაიმე ინფორმაცია გიორგი ხაბურძანიას ადგილსამყოფელის შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ოჯახს.

**ტელ.: 2522469; 570-50-24-29.** იკითხეთ ნათელა ან შალვა.

თუ გიორგი მართლაც იმყოფება რომელიმე მონასტერში და არ სურს, მშობლებს გააგებინოს თავისი ადგილსამყოფელი, უბრალოდ შეეხმიანოს მათ და აცნობოს, რომ ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს.

### სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" თანამშრომელს გიორგი მაჩურიშვილს გარდაეცვალა მამა — ლევან მაჩურიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლევანის სული.

* * *

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელს, რეჟისორ თინათინ ჭაბუკიანს გარდაეცვალა მამა, საინგილოს ისტორიის მკვლევარი მიხეილ ყულოშვილი (ჰერეთელი). იგი ახლად კანონიზირებული წმინდანის მიქაელ ყულოშვილის შთამომავალი (ძმის შვილიშვილი) გახლდათ. მისი ვაჟი — კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი გმირულად დაეცა 2008 წლის სამაჩაბლოს ომში, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ.

ბატონი მიხეილი თანამშრომლობდა გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანთან" და სხვადასხვა დროს აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის შესახებ.

საპატრიარქოს პრესცენტრი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მიხეილის სული.

### როენა-ანა ყენიას გამოსათხოვარი

ზაფხულში დედაეკლესიამ საუკუნო გზაზე გააცილა ჩვენი ნიჭიერი, უთბილესი და უსაყვარლესი როენა-ანა ყენია ანჩისხატის ძველი მრევლიდან. მისმა იმ ქვეყნად გარდასვლამ ჩუმადვე დაგვწყვიტა გული მისთვის ჩვეული თავმდაბლობისა და მოკრძალების დარად. მისი სულიერი სიმდიდრე იმდენად აღემატება მასთან ფიზიკურ განშორებას, რომ ახლობლებს ეს მოგვეშველება ამ ტკივილის გადასატანად. მისი მშობლიური დიდი ოჯახი, როგორც ღირსეულ ოჯახებს შეშვენის, ერთსულოვანია. ბუნებრივი, ამაღლებული სიყვარულითა და საოცარი მზრუნველობის გამოჩენით უყვარდა ანას ისინი და უყვარდათ მათ იგი. ამაგი და ყურადღებიანი ურთიერთობა ახსოვთ მისგან მის მეგობართა წრეებს. მისი გახსნილი, მშვიდი, სანდო და სათნო სახე გულმოდგინებას აღვიძებდა სტუდენტთა და მოწაფეთა შორის, პატივისცემასა და ღიმილს არ იშურებდა შემხვედრისთვისაც.

ამ ბოლო წელს ჩვენ ერთად გავაკეთეთ მთარგმნელობითი კრებული „გაუხუნარი ფერები" (თბილისი, 2011, საგამომცემლო სახლი „მარსი"). მასში შევიდა მისი საუკეთესო თარგმანები ფრანგული ენიდან: არ-

მისკენ დაიხარა და უთხრა: „უარჰყავი ღმერთი!" მეუფემ მიუგო: „უფალსა ღმერთსა თაყვანსა ვსცემ და მხოლოსა მას ვემსახურები!" ბოროტი უმალ განეშორა. როდესაც ხილვა გაუჩინარდა, მეუფე ეფრემი მოძღვარს შეეხმიანა — გძინავს, მამაო? მოძღვარს ეღვიძა. მეუფე ეფრემმა ჰკითხა: „შენ ხომ არ იყავი ჩემთან შემოსული?" — იქნებ გაიხუმრაო, — იფიქრა. მოძღვარმა მიუგო, რომ არც კი ამდგარა და, პირიქით, ეგონა, მეუფე წამოდგაო, რადგან რაღაც ჩრდილი დაინახა. კარი შეამოწმეს და ნახეს, რომ კლიტე გახსნილი იყო და კარი გამოღებული.

აი, ასეთი საოცარი პიროვნება იყო უწმინდესი და უნეტარესი ეფრემი, უდიდესი მოღვაწე და მოწყალე, ფრიად განსწავლული და წიგნიერი. მან ზედმიწევნით იცოდა ძველი ქართული ლიტერატურა, წმინდათა ცხოვრება. კორნელი კეკელიძე იყო მისი მასწავლებელი. ერში ეფრემს გრიგოლი ერქვა. სახელი ეფრემი მას სწორედ კორნელი კეკელიძემ უწოდა. ეფრემმა დაამთავრა სემინარია და უნივერსიტეტი. ამ დროს კორნელი კეკელიძე, რომელიც ოდესღაც სიონის დეკანოზი გახლდათ, უკვე უნივერსიტეტში მოღვაწეობდა პედაგოგად. როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტებმა იგი აიძულეს, გაეხადა ანაფორა და მასწავლებლობა დაეწყო. კორნელი კეკელიძის კალამს ეკუთვნის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის 2 ტომი და რამდენიმე ეტიუდი. მასთან სახლში ნამყოფი იყო ეფრემი და ბატონმა კორნელიმ მას ეფრემ მცირე ფილოსოფოსის პატივსაცემად სახელი შეურჩია.

ერთხელ უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემმა მითხრა: როცა გაგიჭირდებათ, მოდით ჩემს საფლავზე, მითხარით თქვენი გასაჭირი და იქიდან დაგეხმარებითო.

*7 აპრილი, 2010 წ.*

*მოამზადა*
*მარიამ გაგუამ*

# რეპლიკა

15 წელია საპატრიარქოს პრესცენტრში რეგულარულად იშიფრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ეს ქადაგებები, სიტყვები, გამოსვლები.

ბოლო რამდენიმე წელია ტენდენციად იქცა გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანიდან" სხვადასხვა გზით მოპოვებული მასალების წიგნებად გამოცემა ისე, რომ არ არის მითითებული წყარო. მათ შორისაა გიორგი შიხაშვილის ავტორობით გამოცემული ამონარიდები კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებიდან (I და II ტომი), თინათინ გოგოჩაშვილის მიერ გამოცემული წიგნები: „სულიერი მეგზური" და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ალბომი „პატრიარქები", სადაც გამოყენებულია ჩვენ მიერ ქადაგებებიდან ამოღებული და პუბლიკაციისთვის მომზადებული პატრიარქის მოგონებები.

გვაქვს ინფორმაცია, რომ გამოსაცემად მზადდება კიდევ ერთი წიგნი, რომელშიც გამოყენებულია ჩვენი მასალები წყაროს მითითების გარეშე. ამჯერად წიგნს არ ვასახელებთ იმ იმედით, რომ წიგნის ავტორები გამოასწორებენ ამ შეცდომას.

მიგვაჩნია, რომ ეს არაეთიკური საქციელია და წიგნების გამომცემლებს მოვუწოდებთ კეთილსინდისიერებისა და კორექტულობისაკენ.

*გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია*

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის ეზოში ახალი პატარა ბაზილიკური ეკლესია ამოქმედდა. კურთხევამდე მის ადგილას სანათლავი ფუნქციონირებდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარ, დეკანოზ იოსებ გოგოლაძის ძალისხმევით მოხერხდა სანათლავის განვრცობა. ერთი წელიწადში დაიდგა კანკელი, ტრაპეზი და ეკლესია მოიხატა.

ეკლესია 20 ოქტომბერს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მართალ იოსებ დამწინდველის სახელობაზე აკურთხა და პირველი წირვაც აღავლინა. აღსანიშნავია, რომ აქამდე ამ წმინდანის სახელობაზე საქართველოში არცერთი ტაძარი არ ყოფილა ნაკურთხი.

ლიტურღიის დროს ეპისკოპოსმა მელქისედეკმა მღვდლად დაასხა ხელი საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის **დიაკონ ალექსანდრე დავითაშვილს,** რომელიც ამავე ტაძარში იმსახურებს.

## აღკვეცა

21 სექტემბერს ზემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში ამავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სერაპიონმა (ჯიშკარიანი) მონაზვნად აღკვეცა ქვემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის **სამონაზ-**

ვნე **მარიამ სუხიაშვილი** და სახელად **სერაფიმა** უწოდა.

**დაჯილდოება**



6 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იმოგზაურა ბოლნისის ეპარქიაში, მოილოცა რამდენიმე ტაძარი და დალოცა მრევლი. ამავე დღეს ბოლნისის საკათედრო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დედაეკლესიაში და ეპარქიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის ბოლნელ **ეპისკოპოს ეფრემს (გამრეკელიძე)** მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა.

**ხელდასხმა**

7 ოქტომბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის **დიაკონ ლუკა მკალავიშვილს.**

**მღვდელი ლუკა** თბილისის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

21 ოქტომბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ქვემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **მედავითნე დავით ზურაბაშვილი.**

**დიაკონი დავითი** ქვემო მლეთის მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

21 ოქტომბერს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა ზემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი კახაბერი (გოგალაძე).**

**ბერ-დიაკონი კახაბერი** ზემო მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

**დაჯილდოება**

6 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა ბოლნისის ეპარქიაში მოღვაწე სამღვდელოება:

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით:

მუხნარის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **სქემმღვდელმონაზონი შიო (არჯევანიძე);**

დისველის წმინდა ანდრია მოციქულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **სქემმღვდელ-მონაზონი ანდრია (ნინუა);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით:

ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი ნიკოლოზ გაბიძაშვილი;**

ქვეშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი მიქაელ დურგლიშვილი;**

რაჭისუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი გაბრიელ პაიკიძე.**

***

9 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი აბრაამ სოლომნიშვილი** და მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის (უზნაძის ქუჩა) წინამძღვარი, **დეკანოზი ალექსანდრე გალდავა.**

***

21 სექტემბერს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, **მღვდელ ირაკლი ოთხმეზურს.**

***

7 ოქტომბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — **ილუმენი გაბრიელი (იმედაიშვილი), ილუმენი ბასილი (კაკიაშვილი), ილუმენი ზენონი (სანოძე);**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — **მღვდელ-მონაზონი ანთიმოზი (არუნაშვილი), მღვდელ-მონაზონი თადეოზი (მჭედლიშვილი), მღვდელ-მონაზონი იოსები (მაჩაიძე), მღვდელ-მონაზონი ონოფრე (კვინიკაძე);**

მიტრით — **დეკანოზი იაკობ ჩოჩნიძე, დეკანოზი კახაბერი ფირანიშვილი;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — **მღვდელი დავით ჯიშკარიანი.**

# რეპლიკა

15 წელია საპატრიარქოს პრესცენტრში რეგულარულად იშიფრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ქადაგებები, სიტყვები, გამოსვლები.

ბოლო რამდენიმე წელია ტენდენციად იქცა გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანიდან" სხვადასხვა გზით მოპოვებული მასალების წიგნებად გამოცემა ისე, რომ არ არის მითითებული წყარო. მათ შორისაა გიორგი შიხაშვილის ავტორობით გამოცემული ამონარიდები კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებიდან (I და II ტომი), თინათინ გოგოჩაშვილის მიერ გამოცემული წიგნები: „სულიერი მეგზური" და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ალბომი „პატრიარქები", სადაც გამოყენებულია ჩვენ მიერ ქადაგებებიდან ამოღებული და პუბლიკაციისთვის მომზადებული პატრიარქის მოგონებები.

გვაქვს ინფორმაცია, რომ გამოსაცემად მზადდება კიდევ ერთი წიგნი, რომელშიც გამოყენებულია ჩვენი მასალები წყაროს მითითების გარეშე. ამჯერად წიგნს არ ვასახელებთ იმ იმედით, რომ წიგნის ავტორები გამოასწორებენ ამ შეცდომას.

მიგვაჩნია, რომ ეს არაეთიკური საქციელია და წიგნების გამომცემლებს მოვუწოდებთ კეთილსინდისიერებისა და კორექტულობისაკენ.

*გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია*

# ქრონიკა. ინფორმაცია.

## დაჯილდოება

28 ოქტომბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

**დეკანოზი ნაზარი გვენეტაძე** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი გობრონ ზივზივაძე** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი გიორგი ბერაია** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი ლონგინოზ მანაგაძე** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი დავით მარგველაშვილი** — გამშვენებული ჯვრით;

**დეკანოზი დავით რუხაძე** — გამშვენებული ჯვრით;

• **მღვდელი მარტინ კახიძე** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახური, **მღვდელ-მონაზონი ონოფრე (წულაძე)** — ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით;

**მღვდელი გაბრიელ ბენიაიძე** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

**მღვდელი ნოე კილაძე** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

***საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) აცხადებს მოხსენებების მიღებას სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციისათვის „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში".***

მოხსენებები მიიღება 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (*ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი*).

გთხოვთ, მოხსენებები მოგვაწოდოთ ელექტრონული ვერსიის სახით, შრიფტი 12, AcadNusx, 1.5 დაშორება. გთხოვთ, ნაბეჭდ მასალასთან ერთად ასევე მოგვაწოდოთ დისკზე ჩაწერილი ნაშრომი. თემას აუცილებლად თან უნდა ერთოდეს შესაბამისი წყაროები, რომლებიც გამოიყენეთ თემაზე მუშაობის პროცესში. აუცილებლად მიუთითეთ თემის ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია, სახელი, გვარი და თემის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

შენიშვნა: „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში" არის კონფერენციის ზოგადი სახელწოდება და არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც თემის სათაური.

***საკონტაქტო: 598 10 68 65 — თამარ გიორბელიძე; 574 20 94 94 — მირანდა გაბუნია.***

Email: ax.conference@gmail.com

## შემეცნებითი საუბრები

***2 ნოემბრიდან საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) განახლდება შემეცნებითი საუბრები.***

***დასწრება თავისუფალია.***

**პარასკევი — 2.11.12** — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ალსარების საიდუმლო". საუბარს წარმართავს წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბიძინა გუნია (15:00 სთ.).

**კვირა — 4.11.12** — ფილმის ჩვენება. თამარ თაგვაძის ფილმი „კავსაძეები" (15:00 სთ.).

**ორშაბათი — 5.11.12** — ისტორია. თემა: „დასავლეთ საქართველოს იურისდიქცია". საუბარს წარმართავს მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) (15:00 სთ.).

**სამშაბათი — 6.11.12** თემა: „სივრცის დაყოფა, კრისტალები, წონასწორობა და უმცირეს ქმედებათა პრინციპი — „ბუნება არასოდეს არ არღვევს თავის კანონებს". საუბარს წარმართავს თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა — მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ილია თავხელიძე (15:00 სთ.).



1971 წელს ბულგარეთის პატრიარქის, უწმინდესი კირილეს გარდაცვალების შემდეგ ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა მაქსიმე ახალ პატრიარქად გამოირჩია.

მაქსიმე პატრიარქი 41 წლის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა ბულგარეთის ეკლესიას და მის სამწყსოს. იგი იყო გამორჩეული პიროვნება და ბრძენი საჭეთმპყრობელი.

ღმერთმა განუსვენოს უწმინდეს მაქსიმეს საყოფელთა მართალთასა.

## დაჯილდოება

4 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელი გიორგი გაფრინდაშვილი დააჯილდოვა ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

***საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.***

***ორშაბათი — 5.11.12 — ისტორია.*** თემა: „დასავლეთ საქართველოს იურისდიქცია". საუბარს წარმართავს მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). (15:00 სთ.)

**ოთხშაბათი — 7.11.12 —** პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის ახალი წიგნის „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები" წარდგინება. (18:00 სთ.)

**ხუთშაბათი — 8.11.12 — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.** თემა: ინგლისელი თეოლოგი ჯონ მილბანკი —"რადიკალური ორთოდოქსიის ლიდერი". საუბარს წარმართავს ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტი, დეკანოზი გიორგი წეროძე. (18:00 სთ.)

**პარასკევი — 9.11.12 — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.** თემა: „სკოლის მოსწავლის ფსიქოლოგია". საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი. (15:00 სთ.)

**კვირა — 11.11.12 — ფილმის ჩვენება.** თამარ თაგვაძის ფილმი „ნიკო ნიკოლაძე". (15:00 სთ.)

***

7 ნოემბერს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში მოეწყო პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის ახალი წიგნის „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინების" წარდგინება.

წიგნში შესულია პოეტის ცნობილი და უცნობი ლექსები, სონეტები, ეპიტაფიები და თარგმანები. წიგნი ეძღვნება ჯემალ ბოლქვაძის ხსოვნას. კრებულის რედაქტორები არიან მაია ჩოლოყაშვილი და ნანა სუხიტაშვილი.

საღამო საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

***

11 ნოემბერს, 19:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება მურმან ლებანიძის პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს წარუძღვება დეკანოზი პეტრე კვარაცხელია.

ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართება.

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

***„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:***

გასტროენტეროლოგი — 9 ნოემბერს, 17.00 სთ.;

ანგიოლოგი — 10 ნოემბერს, 13.00-14.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 14 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

***სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.***

## საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის" განცხადება

11 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი" აწყობს ლოცვით მსვლელობას მეტეხის ხიდის მიმართულებით, სადაც 17.00 სთ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გადაიხდის საზეიმო პარაკლისს ასი ათასი ქართველი მოწამის სახელზე.

მსვლელობის მარშრუტი:

14.00 სთ. დიდუბის პანთეონიდან;

15.00 სთ. სპორტის სასახლიდან;

15.00 სთ. მეტრო „ისნიდან".

შ ე მ ო გ ვ ი ე რ თ დ ი თ !

## ქრონიკა ინფორმაცია

### ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მის აღმატებულებას მიშელ ობამას

საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა მეორე ვადით აშშ პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით.

ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ამერიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გენდობათ და ენდობა იმ პოლიტიკას, რომელსაც თქვენ აი, უკვე ოთხი წელია ანხორციელებთ. თქვენი არჩევა სასიხარულოა ჩვენი ქვეყნისთვისაც, რადგანაც თქვენს საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია; თქვენ მხარს უჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკურ გაძლიერებას, რის გამოც დიდ მადლობას გიხდით.

ვიმედოვნებთ, ურთიერთობა აშშ-სა და საქართველოს შორის ახალ სიმაღლეზე ავა, რასაც, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის გლობალური პრობლემების დაძლევის თვალსაზრისით.

ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა თქვენი მაღალი მოვალეობის ღირსეულად აღსრულების, როგორც ამერიკელი ხალხის, ისე მსოფლიო მოსახლეობის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

### ხელდასხმა

1 ნოემბერს თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ დამიანეს (ფორჩხიძე)** და დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი **გურამ ბითაძე** და სახელად **ლუკა** უწოდა.

**მღვდელ-მონაზონი დამიანე** ტაბაკინის მონასტრის საძმოში დაინიშნა.

**დიაკონი ლუკა** თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

4 ნოემბერს თბილისის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიაში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის **ბერ-დიაკონ ლუკას (ფალავანდიშვილი).**

**მღვდელ-მონაზონი ლუკა** ლისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

### დაჯილდოება

11 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება.

მიტრით — მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი გაიოზ დვალი;**

მიტრით — ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი გაბუნია;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მუხათგვერდის წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი გიორგი ალიბეგაშვილი.**

### საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

***საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.***

***ორშაბათი — 19.11.12 — ისტორია;*** თემა: „მეფე ერეკლე II". საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ბახტაძე (15:00 სთ.);

**სამშაბათი — 20.11.12** — თემა: „მათემატიკა — ენა, რომელზეც ბუნება გვესაუბრება." საუბარს წარმართავს თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ილია თავხელიძე (15:00 სთ.);

**ოთხშაბათი — 21.11.12** — ალექსადრე გველესიანის ახალი წიგნის წარდგინება. (19:00 სთ.);

**ხუთშბათი — 22.11.12** — გიორგობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

**პარასკევი — 23.11.12** —გიორგობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

**კვირა — 25.11.12** — ფილმის ჩვენება. თამარ თაგვაძის ფილმი: „გრიგოლ ლორთქიფანიძე (15:00 სთ.).

### უფასო სამედიცინო კონსულტაცია

*„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:*

ალერგოლოგი — 16 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.
ანგიოლოგი — 17 ნოემბერს, 13.00-14.00 სთ.
ენდოკრინოლოგი — 17 ნოემბერს, 15.30-16.30 სთ.
ნევროპათოლოგი — 18 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.
რევმატოლოგი — 20 ნოემბერს, 17.30 სთ.
რევმატოლოგი — 22 ნოემბერს, 15.30 სთ.
კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

*სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.*

### განცხადება

ფუნქციონირებს საპატრიარქოს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი.

ცენტრში მუშაობენ:

საპატრიარქოს სახელზე.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის დადგენილებით, ლიცენზიის მიღებისთვის სავალდებულო გახდა ძველი საავადმყოფოების ნაცვლად თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით ახალი კლინიკების აშენება და მოწყობა. ამიტომ სახელმწიფომ შემოგვთავაზა, რომ საპატრიარქოს დაეთმო თარხნიშვილის ქუჩაზე მდებარე უზუფრუქტით გადმოცემული შენობა (6200მ$^2$) და მიწის ფართი (3854მ$^2$) და მის ნაცვლად საკუთრებაში აეღო ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე ბარნოვის ჰოსპიტალის ტერიტორია და ნაგებობები (მიწის ნაკვეთის ფართი 18043მ$^2$, ხოლო შენობების 9000 მ$^2$).

კლინიკის რეკონსტრუქციის მიზნით ინვესტორად შეირჩა ქ-ნი მანანა შარაშიძე, რომელმაც შპს „MGI" საშუალებით განახორციელა ორთაჭალის ჰოსპიტალის ძველი შენობის სრული რეკონსტრუქცია და ახალი შენობის აგება. მან გაარემონტა და აპარატურით აღჭურვა 6500 მ$^2$ ფართი, სადაც 2 ოქტომბრიდან ფუნქციონირება დაიწყო საპატრიარქოს მრავალპროფილიანმა სამედიცინო ცენტრმა.

ყოველივე ამის მიუხედავად, საპატრიარქო კვლავ იჩენს კეთილ ნებას და აბორტსაწინააღმდეგო ცენტრისთვის წერეთლის გამზირზე გამოჰყოფს ფართს 60-70 მ$^2$ ოდენობით.

## ხელდასხმა

4 ნოემბერს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა მღვდლად ამავე ტაძრის დიაკონ ილია მაღრაძეს.

მღვდელი ილია რუსთავის წმინდა დავით წინასწარმეტყველის სახელობის სამლოცველო სახლში იმსახურებს.

* * *

11 ნოემბერს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა დიაკვნად ამავე ტაძრის სტიქაროსანს გიორგი გურულს.

დიაკონი გიორგი რუსთავის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *



18 ნოემბერს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა მღვდლად ამავე ტაძრის დიაკონ ნოე გუგუციძეს.

მღვდელი ნოე გუგუციძე რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

## საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

*საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.*

**ორშაბათი — 26.11.12** — ისტორია; თემა: „ტაძრები და სახელები." საუბარს წარმართავს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ბერიძე. (15:00 სთ.)

**სამშაბათი — 27.11.12** თემა: რაოდენობის ჩაწერის მცდელობა - ანუ აღრიცხვა (რა გზა გაიარა კაცობრიობამ დამწერლობის პარალელურად - რიცხვის ჩაწერამდე). საუბარს წარმართავს თსუს ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ილია თავხელიძე. (15:00 საათი.)

**ოთხშაბათი — 28.11.12** — მარინა ცხვედიაშვილისა და ჯემა კუხალაშვილის შემოქმედებითი საღამო. (18:00სთ.)

**ხუთშაბათი — 29.11.12** — ღვთისმეტყველება და ფილოსოფია. თემა: „წირვა-ლოცვა ლიტურგიკულ ღვთისმეტყველების ჭრილში." საუბარს წარმართავს წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბიძინა გუნია. (15:00 სთ.)

**პარასკევი — 30.11.12** — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა. თემა: „გარდატეხის ასაკის პრობლემები." საუბარს წარმართავს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ნინო კანდელაკი. (15:00 სთ.)

**კვირა — 2.12.12** — ფილმის ჩვენება. თამარ თაგვაძის ფილმი: „ნიკო ცხვედაძე." (15:00 სთ.)

## უფასო სამედიცინო კონსულტაცია

*„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:*

დერმატოლოგი — 22 ნოემბერს, 15.30-17.00 სთ.;

გასტროენტეროლოგი — 23 ნოემბერს, 15.00-16.00 სთ.;

ოფთალმოლოგი — 24 ნოემბერს, 10.00-12.00 სთ.

ფთიზიატრი და პულმონოლოგი — 24 ნოემბერს, 12.00-13.00 სთ.

ანგიოლოგი — 24 ნოემბერს, 13.00-14.00 სთ.

ოტორინო ლარინგოლოგი — 28 ნოემბერს, 16.00 - 17.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.